**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. | |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, | |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, | |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, | |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, | |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, | |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, | |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, | |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, | |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, | |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, | |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, | |

# ივერია

№ 262 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 262

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

გაზეთი

„ივერია“

1-ლ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე ჭღირს 2 მან. 75 კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—29)

ტელეფონი № 63. აბონემენტის რიცხვში წარმოდგენა № 5.

სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება პირველად

I

ახალი პიესა

საქმის კაცი

(ფულის ძალა)

დრამა 3 მოქმ., მირბოსი, თარგ. დორთქიფანიძისა.

II

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

ვოდევილი 1 მოქმ., გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, ივანიძე, მესხი, მატარაძე, სვიმონიძე, სარჯველაძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი ᲓᲐ სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ამხანაგობის დირექცია.

მთრიგი რეჟისორი კ. მესხი.

შემდეგი წარმოდგენა—ბენეფისი ვას. აბაშიძისა.

მზადდება წარმოსადგენად: «იულიოს კეისარი», «მედეია», «ერნანი» და სხვ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

სამშაბათს, 16 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

ფენელლა

ოპერა 5 მოქმედ., მუსიკა ობერისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნიკიტსკაია, ზასლავსკისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, დონსკოი, პოროუბინოვსკი, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს ჟიოვასსი. პრიმა-ბალერინა ლენჩევსკაია.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი. კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს,

გაიმართება ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის-მიერ ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება

I

საქმის კაცი

(ფულის ძალა)

დრამა 3 მოქმ. მირბოსი.

II

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

ვოდევილი 1 მოქმედ., გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

რომეო და ჯულიეტა

ოპერა 5 მოქმ., მუს. გუნოსი.

მზადდება წარმოსადგენად პირველად «ალეკო», მუსიკა რახმანინოვისა და «მანდარინის შვილი», ც. კიუისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კელლერი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ე. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბინინა. 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი კ. გძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ქართველნი მკურნალნი:

ბედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

კბილის ექიმი ნ. ტუღუშლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორისმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

წერილი ტყვეობიდგან. ტიურენჩენთან შეპყრიათ იაპონელებს ტყვედ მე-11 აღმოსავლეთ ციმბირის პოლკის შტაბს-კაპიტანი ლაზარევი. ლაზარევი იწერება ტყვეობიდგან: როცა ტიურენჩენთან იაპონელნი გარს შემოგვეხვინენ, იმათ სამი დივიზია ჰყავდათ—45,000 კაცი, ჩვენ კი მხოლოდ ორი პოლკი—8,000 კაცი. მეტი ღონე არ იყო, უნდა დაგვერღვია გარშემოდგომილთა წრე და ისე გვეშველნა თავისათვის. საჭირო იყო ბრძოლის ადგილას დარჩენილიყო მცირე ჯარი მაინც, რომ ზურგიდგან უზრუნველნი ყოფილიყვნენ მტრის ალყის გამრღვეველნი. ეს საქმე შტაბის უფროსმა მე მომანდო. ერთი როტა მყავდა და ორი ზარბაზანი მქონდა. ოთხს აფიცერში ერთი მომიკლეს, ორი დამიჭრეს, მხოლოდ მე გადავრჩი და ხელში ჩაუვარდი ტყვედ იაპონელებს. ან კი სად-ღა წავიდოდით, გზა არსაით-ღა იყო. როგორც ხაფანგში თაგვი, ისე ვიყავით მომწყვდეულნი. ცოტას ხანს შახეძისა ვყავდით, მერე გემით მაცუიამას გაგვისტუმრეს და დღეს აქა ვსხედვართ ტუსაღად. კვირაში ორჯელ გვაძლევენ ნებას სასეიროდ წავიდეთ ქალაქში იაპონელ აფიცრის ზედამხედველობით. თან გვატანენ მოენესა და ჯარის კაცებს სადარაჯოდ. სასმელ-საჭმელი ურიგო არა გვაქვს. ტანისამოსი შემოგვაცვდა და იაპონიის მთავრობამ თითო კურტკა და შარვალი შეგვიკერინა. მოგვცეს თითო წყვილი საცვალიცა. დანარჩენი ჩვენის ფულით უნდა გვეყიდნა. მაგრამ ბევრს გროში არა ჰქონდა ჯიბეში. ასეთს გაჭირებულთ დახმარება აღმოუჩინა საფრანგეთის საელჩომ და ოცოც-და ხუთი იენი დაურიგა. 1 სეკდემბრიდან საელჩომ მეტი ჯამაგირი გაგვიჩინა: შტაბს-ოფიცრებს 50 იენი, ობერ-აფიცერს—30 იენი თვეში. (ბირ. ვედ.).

—

პორტ-არტურის მეციხოვნეთა ჯარის შემცირება. «მატენს» სწერს კორესპონდენტი ჩიფუდან, რომ პორტ-არტურის მეციხოვნეთა ჯარს დააკლდა 15 ათასი კაციო. ზოგიერთი ჯარის კაცი რამდენჯერმე იქმნა დაჭრილი, მორჩება და მერე კიდევ თავის ალაგს იჭერდა. თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი ციხეში საკმაოდ აქვთ. ამბობენ, რომ ციხე მარტამდე გასძლებსო. იაპონელები იერიშის დროს დიდს მამაცობას იჩენენ. ვგონებ, არაყით ითრობიან თავ-დასხმის წინად და იმიტომ. (რ. ვ.).

—

გენერ. სტესელის დაჭრა. გაზეთ «ჟურნალს» მიუღია ცნობა, მართალია სტესელის დაჭრის ამბავიო. რომ სტესელი პირისახეშია თურმე დაჭრილი, მაგრამ საბრძოლველს ადგილს მაინც თავს არ ანებებს. მისი მეუღლე, რომელიც ჯერ კიდევ კარგად არ არის მორჩენილი ბოლონდელ ჭრილობისაგან, მუდამ თან დასდევს თავის ქმარს, როცა სტესელი ათვალიერებს ციხის სიმაგრეებს. (რ. ვ.).

—

პორტ-არტურის ალყა. ლონდონიდგან სწერენ დეპეშით «ბირ. ვედ.»-ს: პორტ-არტურის მდგომარეობას აქ დიდის გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს. მცოდნე კაცნი ამბობენ, ვიდრე პორტ-არტური აღებული არ არის, ზამთარში ლაშქრობა ბევრად უფრო ძნელი იქმნება იაპონელთათვის, ვიდრე რუსის ჯარისათვისაო. აქ ეჭვი არა აქვთ, რომ, გაიფიცრება თუ არა ყინულით მდინარენი მანჯურიაში, რუსის ჯარი შეუტევს იაპონელებს და, თუნდაც ვერ გაისარჯოს, პორტ-არტურს მაინც შეღავათი მიეცემა და ალყა ისე სასტიკად აღარ ექმნება შემორტყმულიო. (რ. ვ.).

—

რაოდენობაშია ძალა, თუ თვისებაში? რაოდენობას, თქმა არ უნდა, ყველა საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ თუ რაოდენობას არ მოსდევს ღირსებაც, მაშინ იგი უღონო და უსულოა, ჰკარგავს თავის გარეგან მრისხანე მნიშვნელობას; ხოლო როდესაც რაოდენობა შემკულია შესაფერის ღირსებით, მაშინ იგი წარმოადგენს ძალას, რომელსაც ვერ უდგნობს თანაბარი რიცხვი მოპირდაპირისა, მაშინ იგი სძლევს წინგადაღობებულ დაბრკოლებას. ამ ჭეშმარიტებას არ უნდა განმარტება, იგი ყველასთვის ცხადია. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს მაგალითს, თუ რა შესძლებია თვისებას, როდესაც რაოდენობა მოიწინაალმდეგეთა ყოფილა თითქმის ერთი და იგივე. გაზეთ «ნოვოე ვრემია»-ში დაბეჭდილია წერილი ერთის რუსის მეზღვაურისა, რომელიც მონაწილეობას იღებდა 28 ივლისს, როდესაც პორტ-არტურის ფლოტს შეტაკება მოუხდა იაპონიის ფლოტთან. აი რას სწერს ეს მეზღვაური: 28 ივლისს ჩვენი ფლოტი ბრძანებისამებრ პორტ-არტურიდგან გაშლილ ზღვაში გავიდა. ხმები იყო გავრცელებული, რომ ვლადივოსტოკისაკენ უნდა წავსულიყავით, მაგრამ დანამდვილებით არაფერი ვიცოდით. გაშლილ ზღვაში ნიშანი მოგვცეს და გვაცნობეს, რომ ვლადივოსტოკში მივდივართო. როდესაც პორტ-არტურს საკმაოდ გავცილდით, ჰორიზონტზე იაპონელთა ფლოტი შევნიშნეთ, რომელიც ჩვენის ფლოტის დასწვრივ მოდიოდა და თან და თან გვიახლოვდებოდა. 12 საათზე ერთმანეთს პირველის ყუმბარებით მივესალმეთ. ჩვენის მხრით მონაწილეობას შემდეგი გემები იღებდნენ: 6 ჯავშნიანი გემი, 4 კრეისერი და 7 ნაღმიანი გემი. იაპონიის მხრითაც ოთხი ჯავშნიანი გემი, ორი ჯავშნიანი კრეისერი და ამას გარდა ოთხი კრეისერი. როგორც ჰხედავთ, გემების რაოდენობა ერთმანეთს უდრიდა, მხოლოდ საქმე იმაში იყო, რომ მათი გემები შედარებით გაცილებით მსწრაფლ-მავალნი იყვნენ ჩვენებზე და, ამას გარდა, ჩვენ 5 დიუიმიანი ზარბაზნებით ვიყავით შეიარაღებულნი მაშინ, როდესაც მტერი 7 დიუმიან ზარბაზნებს გვიშენდა. თავდაპირველად მარტო ჯავშნიანი გემები იბრძოდნენ ჩვენის და იმათის მხრით და მხოლოდ საღამოს ჟამს მიიღეს მონაწილეობა კრეისერებმა ბრძოლაში. ბრძოლა შორიდან დავიწყეთ: ერთმანეთს თითქმის 6 მილით ვიყავით დაშორებულნი; ბრძოლის დროს იაპონიის ფლოტი თანდათან გვიახლოვდებოდა და სცდილობდა ჩვენთვის გზა მოეჭრა, შუა დღის 3 საათზე, გზა რომ ვერ მოგვიჭრეს, გაგვშორდნენ და სროლაც შესწყდა. საღამოს 5 საათზე კვლავ დაგვედევნენ, მოგვიახლოვდნენ თითქმის 4 მილის სიშორეზე და კვლავ გაჩაღდა ომი. განუწყვეტლივ გრიალებდა 12 და 6 დიუიმიანი ზარბაზნები და, ვინ იცის, ვის დედას ატირებდნენ და მძიმე ძაძებით ჰმოსავდნენ.

ერთი 12 დიუმიანის ზარბაზნის ყუმბარა ჩვენს კოშკში ჩამოვარდა, გასკდა და სულ ერთიან ამოსწყვიტა ყველა იქ მყოფნი. ამ დროს მეც დავიჭერ ორსავე ფეხებში. ჭრილობის შესახვევად ძირს ჩამოვეშვი, ასე რომ, ბრძოლის დასასრული არ მინახავს. ადამიანისათვის ყოვლად შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ რა საშინელ სანახაობას წარმოადგენდა ეს არაჩვეულებრივი და უმაგალითო ბრძოლა, რომელმაც თითქმის საღამოს რვა საათამდე გასტანა. ერთბაშად შევნიშნე, რომ, ჩვენის ესკადრის გადარჩენილი ნაწილი უკან დაბრუნდა პორტ-არტურისაკენ და საშინლად დაზიანებული ნავთ-სადგურის შიდა რეიდისკენ მიეშურებოდა. ამ ბრძოლაში ჩვენ დავკარგეთ ოთხი ჯავშნიანი და ოთხი ნაღმიანი გემი. ბევრი აფიცერი და უბრალო მეზღვაურები გადარჩენილ გემებზე აღმოჩნდა საშინლად დაჭრილი და დასახიჩრებული. როგორც ზემოდ ვამბობდი,— განაგრძობს იგივე მეზღვაური,—მართალია მებრძოლ გემების რაოდენობა ორთავე მხარეს სწორი იყო, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჩვენის მხრით მონაწილეობას არ იღებდნენ ისეთი დახელოვნებული, მცოდნე და ბრძოლაში გამოცდილი კაცები, როგორიც იაპონელთა ესკადრაში იყვნენ, და ამ უკანასკნელთა სიმამაცის ნატამალიც კი არ მოგვეპოებოდა. (ნოვ. ვრემია).

—

იაპონელების მაშველ ჯარის გაგზავნა მანჯურიაში. «ბერლ. ტაგ»-ის კორესპონდენტი იტყობინება: იაპონიის სამხედრო სამინისტრო უკანასკნელის ოთხ კვირის განმავლობაში არა-ჩვეულებრივ ენერგიით მუშაობს. იაპონელები ყოველ ღონეს ხმარობენ, თავიანთ ჯარს რუსების ოდენი მაშველი ჯარი გაუგზავნონ. ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა მანჯურიაში მე-7, მე-8, ფორმოზისა და ორი სათადარიგო დივიზია გაგზავნეს. ევროპის გაზეთები ირწმუნებოდნენ,—ამბობს კორესპონდენტი,—რომ ლიაოიანის ბრძოლის დროს იაპონელებს ცხრა სათადარიგო დივიზია ჰყავნდათ, მაგრამ ეს მართალი არ იყო, რადგან ამდენი ჯარი იაპონელებმა მანჯურიაში მხოლოდ ეხლა გაგზავნესო. («პ. ვ.»).

—

ომის წვრილი ამბები. გაზეთი «პატრი» სწერს: კრუპის ქარხანას ესსენში არას დროს იმდენი სამუშაო არა ჰქონია, რამდენიც ეხლა. ქარხანაში მუშაობს 27.000 მუშა, შარშანდელთან შედარებით 3,000 კაცით მეტი. ქარხანას 200.000 ახლად მოგონილი ყუმბარა აქვს შეკვეთილი, მხოლოდ არ იციან, ვინ შეუკვეთა, რუსეთმა თუ იაპონიამ. («პ. ვ.»).

—

„ნოვოე ვრემია“ სწერს: „ნოვ. დნია“-ს შანჰაიდან ატყობინებენ, ვითომ ჯავშნიანი გემი «მიკაზა» და მასთან ერთად ადმირალი ტოგო დაღუპილიყვნენ, მაგრამ ეს ამბავი დაუჯერებელიაო. წინადაც რამდენჯერმე გავრცელდა ხმა ტოგოსა და კუროკის სიკვდილისა, მაგრამ ყველა ამ გვარი ცნობა მხოლოდ მტკნარი სიცრუე გამოდგაო.

—

ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით იტყობინებს: ლიაოიანის ტიფანგუანი, ჩვენი მომხრე, იაპონელებმა სამსახურიდგან გადააყენეს. მუკდენის ძიან-ძიუნი ეხლაც მტრულად გვექცევა და იაპონელელთანაც მიწერ-მოწერა აქვს გამართულიო. (რუს. სლ.).

—

«რუს. სლოვ.ის» კორესპონდენტი ლიოდიჟენსკი დეპეშით იტყობინება: პოზიციებზე სრული სიწყნარეა. მოწინააღმდეგენი თვალ-ყურს ადევნებენ ერთმანერთს და, როცა დაინახავენ, რომ მოწინააღმდეგის საპიორები პოზიციების გასამაგრებელად მოშაობენ, ზარბაზანს უშენენ და მუშაობას ხელს უშლიან. მოწინავე პოზიციებიდგან მოსული აფიცრები ამბობენ, რომ იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ჯარი სდგას და ირგვლივ, ყველაფერი, რაც კი დაიწვება, თითქმის დავწვითო. მუკდენში სანოვაგის ფასმა აიწია: ერთი ფუთი შეშა 90 კაპ. ღირს, ერთი ცხენის შენახვა დღე და ღამეში მანეთ ნახევარი ჯდებაო. როცა ნამდვილი ზამთარი დადგება, მაშინ ფასი, ვინ იცის, სადამდის აიწევსო.

# ახალი ამბავი

**აკაკის ავადმყოფობის გამო.** ჩვენ მივიღეთ რაჭიდან თავ. ქაიხოსრო გელოვანისაგა შემდეგი წერილი: «ბატონო რედაქტორო! ჩვენის დიდებულის მამულის შვილის აკაკის ავადმყოფობის ამბავმა თავზარი დაგვცა; ხალხი განურჩევლად წოდებისა, ხნოვანებისა და სქესისა, ღმერთს ევედრება ჩვენის დროის რუსთაველის ჯანმრთელობის აღდგენისა და განკურნებისათვის. საერთო მწუხარებაა გამეფებული... ყველას ყურადღება მიპყრობილია ქართველთა დედა-ქალაქ ტფილისზედ, სადაც გვეგულვება ჩვენი საამაყო ავადმყოფი მგოსანი, დაიმშვიდებს აღშფოთებულს სულსა და გულს მით, რომ ჩვენი დედა ქალაქი ღირსეულად მოუვლის თავის უკვდავის ღვაწლით დამსახურებულს შვილს. მოგვანიჭეთ დახმარება, განუცხადეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მაღალ ნიჭიერ მგოსანს, როგორც პირადად ჩემი და მამიჩემისა, ისე ტოლის სოფლის მკვიდრთა თაყვანისცემით მოკითხვა. გვაცნობეთ ხოლმე დრო-გამოშვებით თქვენის გაზეთის საშუალებით პოეტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამბავი».

*** **გიმნაზიის რეფორმა.** სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს გიმნაზიის რეფორმა. პირველ პროექტში ბევრი ახალი რამ არის აღნიშნული, რაც დიდათა სცვლის თურმე კლასიკურ გიზნაზიის აწ არსებულს პროგრამას. სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს გიმნაზიის პროგრამაში ბუნების-მეტყველების კურსიც შეიტანოს. ამ განზრახვით ბუნების-მეტყველების საგნებს ასწავლიან მე-IV კლასიდგან. სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია აგრედვე მოსწავლეთა საზოგადო განვითარების ამაღლება და ამ აზრით შემოიღებენ დასაწყის ფილოსოფიის სწავლებას. ამას გარდა, სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს აწ არსებულ გიმნაზიის პროგრამიდგან სრულიად გაიდევნოს არითმეტიკის თეორიის სწავლება. ზოგიერთ საგნების სწავლება, რომელიც ამ ჟამად არ არის გიმნაზიის კურსში შეტანილი, მოეწყობა განსაკუთრებული კონკურსებით. ეს სისტემა ამერიკის საშუალო სკოლებში ყოფილა შემოღებული და კარგი ნაყოფიც გამოუღია. გადაწყვეტილია, რომ სხვა რიგად მოაწყონ ხატვის სწავლების საქმეც.

*** **ზუბალაშვილის სახელობის საავადმყოფო.** დღეს, 16 ნოემბერს, ტფ. ქალაქის გამგეობას და ხალხის ჯანმთელობისათვის მზრუნველ კომისიას ექმნება შეერთებული კრება, რომელმაც უნდა განიხილოს საგანი ტფილისში სტ. კონსტანტ. ძის ზუბალაშვილის სახელობაზედ საბავშვო საავადმყოფოს აგების თაობაზედ იმ ფულით, რომელიც განსვენებულის ძმებმა შესწირეს თავიანთის ძმის სახსოვრად.

*** **სკოლა ფაბრიკაში.** ამ დღეებში ბაქოში, ჰ. ზ. ა. ტაღიევის ფაბრიკაში, დაარსებულ იქმნა რუსთა და თათართათვის უფასო სკოლა. ამ სკოლაში მხოლოდ ფაბრიკაში მომუშავეთა და მსახურთა შვილებს მიიღებენ სასწავლებლად. კარგი იქნება, ტფილისის ფაბრიკებშიაც დააარსებდნენ ამნაირს სკოლას.

*** **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.** გაზეთებში გავრცელებული ხმა, რომ შავის ზღვის პირისა და სტავროპოლის გუბერნიასა და ყუბანის მხარეში განზრახულია შემოღებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოო, მტკიცდება. ამ საგანს ახლო მომავალში განიხილავს მთავრობა. (ჩ. პ.).

*** **ახალი დამხმარებელი საზოგადოება.** ტფილისის საოსტატო ინსტიტუტთან დაარსდა საზოგადოება, სახელწოდებით «ტფ. ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტის დამხმარებელი საზოგადოება», რომელსაც აზრადა აქვს დაეხმაროს ამ ინსტიტუტის ღარიბ მოსწავლეთ, რომელნიც თავიანთს ხარჯზედ არიან. ამ საზოგადოების დანიშნულება მეტად სიმპატიურია და ამიტომ იმედია, რომ ტფილისის საზოგადოება დაეხმარება შეწირულებით შეძლებისდაგვარად. შეწირულებას მიიღებენ ხსენებულ «საზოგადოების» კომიტეტის შემდეგნი წევრნი: თავმჯდომარის მოადგილე კომიტეტისა ქ-ნი ჟ. ა. ვეიდენბაუმისა (ლაბორატორიის ქუჩა, № 3), ინსტიტუტის დირექტორი ს. ნ. სტრელეცკი (ინსტიტუტის სადგომში, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, № 51 და თავის ბინაზედ—მიხეილის ქუჩა, № 101), კომიტეტის ხაზინადარი გ. მ. ამბარდანოვი—ვანქის ქ, სახ. ოგლობჟიოსი, № 1, კომიტეტის წევრი ქ-ნი ო. ა. კოვალიოვისა ანასტასიის ქუჩის კუთხე, ჩერეპანოვის სახლი, პოლიცმეისტერის კანცელარიასთან, და კომიტეტის წევრი გ. გ. ციტოხცევისა—მიხეილის ქ., საკ. სახ., № 161.

*** **სამხედრო სასამართლოს სესია განჯაში.** 23 ნოემბერს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს სესსია ქ. განჯაში გაარჩევს განჯის გუბერნიის მცხოვრებთა კრიკორ ღუქასოვისა და სიმონ და ოჰანეზ ფარეშოვების საქმეს. ეს საქმე განხილულ უნდა იქმნას ომიანობის დროის წესრიგით.

*** **სამკურნალო საზოგადოების კრება.** დღეს, 16 ნოემბერს, კრება ექმნება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას სხვა და სხვა მიმდინარე საქმეთა და მოხსენებათა განსახილველად.

*** **ომში მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა** მეცხრე სიაში, სხვათა შორის, მოხსენებულია ტფილისელ ჯარის კაცთა შემდეგი გვარები: ნიკ. ლალაევი, ნიკოლოზ გრ. გულიაშვილი და ნიკ. ნიკ. გულიაშვილი. სამივე დაჭრილია.

*** **ბალნეოლოგიურ კომისიის კრება.** ხვალ, ოთხშაბათს, 17 ნოემბერს, კრება ექმნება ბალნეოლოგიურ კომისიას. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს კომისიის თავმჯდომარის ვ. მ ლუნკევიჩის მოხსენება: „Краткій историческій очеркъ по вопросу объ учрежденіи климато-бальнеологической станціи въ гор. Тифлисѣ".

*** **ახალი ჟურნალი «ნაკადული»,** მოგვივიდა პირველი ნომერი (ნოემბრისა) ახალ საყმაწვილო ჟურნალ «ნაკადულისა» ორ წიგნად, ერთი მოზრდილთათვის და ერთი ყრმათათვის, ჟურნალი დასურათებულია და მეტად ფაქიზადაა დაბეჭდილი. აი შინაარსი ჟურნალის პირველ წიგნისა (მოზრდილთათვის):

1) «ნაკადული», ლექსი აკაკისა, 2) «ქათმის საიდუმლოებანი» (ბუნების მეტყველებიდგან) ი. გოგებაშვილისა, 3) «ამაყი მუხა», ლექსი ვაჟელისა, 4) «ლეგენდური» აკაკისა, 5) «ვანკა», მოთხრობა ანტ. ჩეხოვისა, თარგმ. ია-ანისა, 6) „საუბარი მცენარეთა ცოვა-ცხოვრებაზედ", თავი I-ლი, ილ. ალხ.-ისა, 7) «გიორგი ერთისთავი» (გარდაცვალებიდგან 40 წლის შესრულების გამო) ი. ა—სა, 8) „სტეფანე ზუბალაშვილი" (ნეკროლოგი), ი. ა—სა, 9) «ნარევი» და 10) „სახალისო სამუშაო და გასართობი". შინაარსი მეორე წიგნაკისა (ყრმათათვის): 1) „ნაკადული", ლექსი მ. მღვიმელისა, 2) „ლეკსენ ფისო», კომედია ხუმრობა ერთ მოქმ. (რუსულიდგან), 3) «მოშია» (იგავ-არაკებიდგან), აკაკისა, 4) «ჩხუბი» ილ. ალხაზ.—ისა, 5) «ქვეყნის ოჯახი», ვაჟელისა, 6 «ნარევი» და 7) «სახალისო სამუშაო და გასართობი».

საზოგადოდ, ჟურნალის ორი წიგნი შინაარსის მხრივ საკმაოდ მდიდარია. ბიბლიოგრაფიულს შენიშვნას თავის დროზედ დავბეჭდავთ. ვუსურვებთ ახალს ჟურნალს სრულს წარმატებასა და თავის ყრმა მკითხველთა შორის თანაგრძნობის დამსახურებას.

*** **ინსპექტორის სტეფანოვის გარდაცვალება.** ოზურგეთიდან გვწერენ, რომ იქ 9 ნოემბერს დაასაფლავეს ოზურგეთის საქალაქო სკოლის ინსპექტორის ი. ს. სტეფანოვის გვამი. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. შვიდამდე გვირგვინი იყო, რომლითაც შეამკეს განსვენებულის გვამი. შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს: მღვ. დ. შილაკაძემ, მოწაფეთა მხრივ ერთმა მოწაფემ და ს. თავართქილაძემ—საზოგადოების მხრივ. თუმცა განსვენებული ცოტა ხანს იყო აქ საქალაქო სკოლის ინსპექტორად, მაგრამ მაინც დიდი თანაგრძნობა და სიყვარული დაიმსახურა საზოგადოებისა. საუკუნოდ იყოს მისი ხსენება!

# საქართველო

**კახეთი.** ამინდი. დიდი ხანია არ გვინახავს ამისთანა ავდრიანი შემოდგომა. სეკდემბრიდამვე ამინდი შეიცვალა. მყუდრო დღეების მაგიერ დაიჭირა წვიმიანი დღეები. მცხოვრებთ ძრიელ შეუშალა ხელი, ბევრს—ვისაც დარჩა დასაკრეფი ვენახი—დიდი ზარალი მიაყენა. ყურძენი დალპა, დასქდა და ძირს ჩამოვიდა, ისე რომ იძულებულნი იყვნენ ავდარში ეკრიფათ. ღვინოც კარგის თვისებისა არ დადგა. მის მოსავალს წელს ვერ დაემდურებიან, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ზამთრის მოახლოვება. ავდრიანს შემოდგომას ზამთარიც ფეხ და-ფეხ მოჰყვა, დიდი ხანია კავკასიის მთავრეხილი ჩამოთოვა, გომბორის მთის წვერებიც თეთრათ შეიმოსა და მთელ კახეთშიაც მალე თოვლი მოვიდა. თუმცა ორი სამი დღის შემდეგ ისევ აიღო, მაგრამ სუსხი მოიტანა და აცივდა.

ბოროტ-მოქმედება. კახეთში ახალი ამბავი აღარ არის ქურდობა ღ ძარცვა-გლეჯა. ეს ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა. ამას მოჰპარეს ხარები, მორჩა და გათავდა, იმას კამეჩები, მაგრამ ისევ მიჰყიდეს, მესამისა ვერ მოასწრეს გაყიდვა და დაკლეს, მეოთხესი გუთნიდამ გამოუშვეს და მეგუთნე დაცარეს საქმიდამ და კიდევ. ვინ იცის, მთელი სტატისტიკა შესდგება. საზოგადოდ ყველა სოფელში ქურდობენ და ერთ სისტემას მისდევენ ყველანი; მოიპარვენ, მერე ისევ უკან მიჰყავთ და პატრონსვე ჰყიდიან, ე. ი. დასხნაში ფულსართმევენ. ეს ჰხდება აშკარათ, ცხადლივ დაუფარავად. ყველამ იცის, ვინცაა ქურდი, იციან, ვისიც წაყვანილია ესა თუ ის საქონელი, მაგრამ სდუმან. სდუმან მისთვის, რომ ეშინიანთ, ვაი თუ რომ გამოვამჟღავნოთ სახლ-კარიანად გადაგვწვანო.

ღონისძიება ქურდობის მოსასპობლად. ბევრი ქურდი დაუჭერიათ წინად, ბევრისთვის მიუსწვრიათ და წარუდგენიათ, სადაც ჯერ არს, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ უკან დაბრუნებულა და უარესად მოქცეულა. ბევრი გადაასახლეს სამუდამოდ, მაგრამ არც ამან გასჭრა და ასეთ ღონისძიების მიღებამ არა თუ მოსპო ბოროტ-მოქმედება, არამედ უფრო გამრავლდა.

თვით-განსამართლება. ვერაფერმა გასჭრა, ვერავითარმა ღონემ რაინდები ვერ შეაყენა და სოფლელთ ისეთი მკაცრი ღონის-ძიებანი შემოიღეს, რომ იშვიათია ამ მეოცე საუკუნის დასაწყისში. პირველად სოფ. შალაურმა მიჰმართა ასეთ ღონეს. გამოიყვანა ქურდები, მოახდინეს სასოფლოდ ყრილობა და საჯაროთ სცემეს ბოროტ-მომქმედთ. ხალხი ისე აღელდა, რომ სცემდნენ იმასაც ვინც, ბოროტ-მომქმედთ კეტით არა სცემდა. ამათ ოჯახებიდამ კი დავლა გამოიტანეს. ასეთი ზომა ყველას მოეწონა და მალე სხვებმაც მიჰბაძეს. სოფ. შაშიანში ავი კაცები თოკით დააბეს და უწყალოად სცემეს. სოფ. კალაურში სამი ქურდი თავდაყირა ხეზე ჩამოჰკიდეს ფეხებით, დაუწყეს კეტებით ცემა და, მინამდე არ მოეშვნენ, ვიდრე პირიდან სისხლი არ წასკდათ. ამავე სოფელში ერთისთვის კიდევ ნავთი დაესხათ —უნდა დაგწვოთ, შე ჩვენო დამღუპავო, შენაო. მათი ოჯახებიდამ გამოეტანათ პური, ღვინო, დაეკლათ მათივე საკლავი და შეექცეოდნენ. მართალია, ბოროტ-მოქმედი უნდა დაისაჯოს, მაგრამ ასე ულვთოთ ქრისტიან ადამიანის წვალება ღვთის მორწმუნე ერს არ შეშვენის და არც საკადრისია. სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, ზომების მიღება, რათა ასეთი განსამართლება აღარ განმეორდეს.

შიდა-კახელი.

# ხოლერა

შემდეგი *)

## გამოცნობა ხოლერისა.

ხოლერას, რომელიც ზემოდ აღვწერეთ, ეძახიან აზიის ხოლერას. არის კიდევ მეორე გვარი ხოლერა, რომელიც აზიიდან არ შემოდის, რომელიც მხოლოდ აზიას გარეშეა. ამ ხოლერას ეძახიან ჩვენს ხოლერას ანუ ევროპის ხოლერას. აზიის ხოლერა მით განსხვავდება ევროპის ხოლერისაგან, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოდ ძლიერ არ ვცელდება და ხშირად მხოლოდ ერთ ორს კაცს გაუჩნდება ხან აქ, ხან იქ. ამას გარდა, ევროპის ხოლერა ბევრად უფრო სუბუქად ეკიდება ავადმყოფს, საზოგადოდ ევროპის ხოლერა კეთილად თავდება.

თავვის მარილით მოწამლულობასაცა ჰგავს რამოდენადმე ხოლერა. განსხვავე-

*) იხ. «ივერია», № 261.

# ფელეტონი

## ლექსები.

დაე, ზეცამ მრისხანებით
გულს ისარი მტყორცნოს, მასოს;
ქვესკნელმა კი წყლულზე წყლული
მომიმატოს, გამიასოს;

გულში რაც მაქვს, იმას ვიტყვი,
ფარისევლათ არ გავხდები,
ჩემის „კუჭის" გამძღომისთვის
ფეხქვეშ არვის გავეგები.

მტერთან ბრძოლად სიმართლესა
დავისახავ მე მარადა,
ის მექნება ცხოვრებისა
იარაღად და ფარადა.

ვისაც სიტყვით მეგობრობას
დაუფიცავ, დავაფიცებ;
იმას ძმობას და სიყვარულს
გულითაც კი დაუმტკიცებ;

ცა, ქვეყანა, ჯოჯოხეთი,
დაე, აღსდგეს ჩემზედ ყველა;
სიმართლეს და სიწორის გზას
ვერ ამაცდენს ვერვინ,—ვერა!..

გ. ლაღიაშვილი.

## ვასილ ვასილიჩი კანცელარიაში.

(ამბავი)

ვასილ ვასილიჩი ცხრა საათზე შემოვიდა კანცელარიაში და ყველა მოხელეებს თვალი გადაავლო.

— ღინღლაძე კიდევ არ მოსულა?— მრისხანედ იკითხა ვასილ ვასილიჩმა და თან პირიდან საშინელი ღვინის სუნი ამოუშვა.

— არა,—მიუგეს მოხელეებმა.

ამ პასუხმა ვასილ ვასილიჩი ძლიერ გააბრაზა, წარბები შეჰმუხნა და სახეზე უსიამოვნობა დაეტყო.

— ეშმაკმა იცის მისი თავ-ტანი, – ეუბნება მოხელეებს ვასილ ვასილიჩი.—არც ერთხელ თავის დროზე არ მოვა, ამას, რასაკვირველია, უფრო სიამაყით სჩადის, ვითომ: «მე თქვენისთანა როდი ვარ, თქვენზე უფრო ნასწავლი ვარო»... არა, არც ასე ვარგა, მაგისთანა კაცს თავი უნდა აჩვენო. ნათქვამია: «მეზობელმა თუ დაგჯაბნა, კისერზე დაგაჯდებაო»...

— გრიგოლა, საანგარიშო ჩოთქი მომართვი!..

— ჰმ, დასწყევლა ღმერთმა!—განაგრძობს ვასილ ვასილიჩი,—ჩემს დროს ასე რომ არ იყო!.. თუთხმეტის წლისა ვიქნებოდი, როცა სამსახური დავიწყე, დილის ექვსს საათზე შემოვდიოდი და საღამოს ექვსზე გავდიოდი... ყველას სიამოვნებას ვცდილობდი.. ახლა რა შიში მქონდა უფროსებისა! როცა უფროსების ხმას გავიგონებდი, აქ, კოჩორში რომ დამკრავდა რაღაც, კოჭებამდე ჩაივლიდა, ამასთანავე ძლიერ მოუცდენელი და მუყაითი ვიყავ ჩემის საქმისა, მუდამ «არხივში» და ქაღალდებში დავტრიალებდი, საქმეც რომ არა მქონოდა, მაინც ჟურნალებში ვაფათურებდი ხელს, არ მინდოდა უფროსს უსაქმოდ დავენახე.. ჯამაგირად მანეთ-ნახევარი მქონდა თვეში, როცა ჯამაგირს მომცემდნენ, ერთი სამჯელ თავს დაუკრავდი და მადლობას ვეტყოდი უფროსს... აი, ასე ვიქცეოდი მე, ეს კი... აი დასწყევლა ეშმაკმა მაგის თავი, დილის ათ საათზე შემოდის, ორზე გადის, არც უფროსის სიამოვნებას დაგიდევს, არც ერთსა და არც მეორეს...

— წლევანდელი შემოსავალი ამის მეტი არ არის, თუ ვსცდები? ეე, არც წუხელ მიძინია!..

— საქმის შესწავლის სურვილი ხომ სრულიად არ ემჩნევა,- განაგრძობს ვასილ ვასილიჩი,—მართალია, წერით რიგიანად სწერს, მაგრამ ჩვენს საქმეში მარტო წერა როდი კმარა; ჩვენი სამსახური ისეთია, რომ ყოველ საქმეს უნდა აკვირდებოდე, ყოველ ნაწერს, ყოველ ნომერსაც-კი!..

ნომრის ხსენებაზე მოხელეებში სიცილი გაისმა.

— რაო, იცინით?.. ნომერი, ყმაწვილებო, სულია ყოველის საქმისა, უნომროდ უბრალო წერილიც არ ვარგა... შეიძლება ყველაფერი კარგად, მწყობრად დასწერო, მმართველს, მდივანს, რეგისტრატორს, —ერთი ჩიტყვით, ყველას ხელი მოაწერინო, მაგრამ თუ ეს უკუღმართი ნომერი არ ზის თავის ადგილას, მორჩა და გათავდა, შენი ნაწერი წვერმოტეხილ კალმადაც არა ღირს!.. მახსოვს, ერთს ნომერს ორი კვირა დავეძებდი და შემდეგ რის ვაი-ვაგლახით შემოსავალთა წიგნში ვიპოვე... მგონი აღდგომაც არ გამეხარდებოდა ისე, როგორც ამ ნომრის ნახვა მესიამოვნა... აი, ასეთი მონდომებული და მოყვარული ვიყავ ჩემი საქმისა. ეს შენი ღინღლაძე კი ამაებს როდი დაგიდევს... საშუალო სასწავლებელი გავათავეო, მერე რა?! მე რო უფროსი ვიყო, მაგისთანებს ფეხს არ დავადგმევინებ კანცელარიაში!...

— დილა მშვიდობისა, ვასილ ვასილიჩ, —მიესალმა ღინღლაძე, რომელიც ამ დროს შემოვიდა კანცელარიაში.

— აა, დილა მშვიდობისა,—ღიმილით უპასუხა ვასილ-ვასილიჩმა და ისე ტკბილად დაუწყო მუსაიფი, გეგონებოდათ, ღინღლაძე მისი სული და გულიაო.

ვასილ ვასილიჩი კარგა ხნის სამსახურის კაცია; სულ თუთხმეტის წლისა იქნებოდა, როცა გადამწერლად შევიდა და ეხლა ოცდა-ათი წელიწადია, რაც კანცელარიაში მსახურებს. მართალია, არც ერთი სასწავლებელი არ გაუთავებია, გარდა სამრევლო სკოლისა, მაგრამ თავის წადილს მაინც მიაღწია და ეხლა სტოლის უფროსის თანაშემწედ ითვლება.

ბევრი ტანჯვა და წვალება გამოიარა ვასილ ვასილიჩმა ამ ოცდა-ათის წლის განმავლობაში, პირველად მოსამსახურის თანამდებობას ასრულებდა, პაკეტებს დაატარებდა, მერე პაკეტებზე წარწერას შეეჩვია და ამ ნაირად მიაღწია ამ უკანასკნელ თანამდებობას. ყველაზე უფრო მძიმე ვასილ ვასილიჩისათვის იყო და არის გრამატიკა: არ იქნა და ვერ შეისწავლა, სად როგორი «ე» და «ი» იწერება, სად უნდა დაისოს რბილი და მაგარი ნიშანი და სხვა კანონები ენისა.

— ერთხელ,—იტყოდა ხანდის-ხან ვასილ ვასილიჩი,—უნდა დამეწერა მოხსენებაში სიტყვა: «смерть». ღვთის წინაშე, ეგ სიტყვა დასაწერად ნაკლებად შემხვედრია; მახსოვდა კი კანონი: როცა «е» გამოითქმის მაგრად, იწერება «ѣ», როცა რბილად—«е». მაგრამ ამ შემთხვევაში «е» მაგრად გამოსათქმელად მეჩვენა, არ ვიცი, შეიძლება მისთვის, რომ მაშინ სურდო მჭირდა, ავიღე და «ѣ» დავსწერე, მაგრამ ბოლოში როგორი ნიშანი მეხმარა, არ ვიცოდი; ვიფიქრე: მაინც-და-მაინც ეს არც ისე ძნელი გასაგებია-მეთქი. სიტყვა გამოხატავს სიკვდილს, სიკვდილზე უძლიერესი და ულონიერესი რა უნდა იყვეს. უფრო სარწმუნოა ამ სიტყვის მაგარის ნიშნით წერა-მეთქი და იმიტომ ავიღე და მაგარი ნიშანი ვიხმარე. ამის გამო მოხელეები მთელ ორ წელიწადს «სმერტს» მეძახდნენ.

ღინღლაძე ხშირად კითხულობდა ვასილ ვასილიჩის ნაწერს და ასწორებდა, რაკი შეამჩნევდა შეცდომას, სქლად წითელ ყარანდაშს გაუსვამდა და შავს თეთრთან ერთად წარუდგენდა. ვასილ ვასილიჩს ძლიერ სწყინდა ესა და კიდევაც უსაყვედურა ღინღლაძეს, მაგრამ ღინღლაძე თავისას არ იშლიდა. ამიტომ შეიძულა ვასილ ვასილიჩმა ღინღლაძე და სულ მის ცდაში იყო, რომ რამე ევნო მისთვის.

დღეს ვასილ ვასილიჩი რიგიანად გადაკრულია, თავი სამუშაოდ არ ემორჩილება, ხელები უკანკალებს, თვალებში რაღაც ებლანდება, პირიდან არაყ-ნარევ

ბა ის არი, რომ თავვის მარილით მოწამლულს პირი ეწვის, კუჭი სტკივა და რწყევა უფრო ადრე უჩნდება, ვიდრე ფაღარათი.

ამას გარდა საწამლავები: სულეიმანი, საწამლავიანი სოკოები, თევზის, ხორცის საწამლავი და სხვ. უტეხენ კაცს ისეთს რწყევასა და ფაღარათს, რომ ერთი შეხედვით ხოლერას მოგაგონებს. სულეიმანის მოწამლულობა უფრო ადვილი გამოსაცნობია, რადგანაც ნაწლევ-განავალში სისხლი ურევია, მოწამლულს საშინელი მუცლის ტკივილი აქვს, გარედ გასვლის დროს ჭინტვა და ტკივილები მოსდის.

სოკოთი მოწამლულსაც მუცლის ტკივილები და სისხლის ფაღარათი აქვს. თევზით ან ხორცით მოწამლულს, თუმცა რწყევა და ფაღარათი აქვს, მაგრამ ამასთანავე მუცლის ტკივილი.

არიან კიდევ სხვა ნიშნები, რომელთა შემწეობითაც შეიძლება უკეთ გამოიცნო აზიის ხოლერა, როგორც ევროპის ხოლერისაგან, აგრეთვე ხსენებულ და კიდევ სხვა საწამლავებით მოწამლულობისაგან, მაგრამ დაწვრილებით გამოცნობა ექიმის საქმეა, რადგან მოითხოვს სამეცნიერო გამოკვლევას, რომელზედაც არა-ექიმს ხელი არ მიუწვდება.

### წინასწარმეტყველება.

ხოლერის ეპიდემია ხან უფრო მძვინვარეა და უფრო ბევრი მსხვერპლი მიაქვს, ხან უფრო სუბუქია. ზოგის ეპიდემიის დროს ას ავადმყოფში მხოლოდ ათი კვდება, ზოგი ეპიდემია კი ყოველ ას ავადმყოფში ორმოცდაათ კაცს იმსხვერპლებს ხოლმე. ამას გარდა ზოგი ეპიდემიის დროს ყოველ ათას მცხოვრებლებზე მხოლოდ ორი კაცი ხდება ავად, ზოგი ეპიდემია კი ასეთია, რომ ყოველ ას კაცზე ოთხი კაცი ავად ხდება. როგორც გამოანგარიშებულია, მომკვდართა ორი მესამედი ეგრე წოდებულსასფიქტიურ ხანაში, ე. ი. «ალგიდი» ხანის შემდეგ პირველსავე დღეებში, მომკვდარა და მხოლოდ ერთი მესამედი მომკვდარა ეგრედ-წოდებულ ტიფოიდის ხანაში.

როგორც ზემოდ ვსთქვით, ხოლერის ეპიდემიის დროს სუბუქი შემთხვევები ხშირია, მაგალითად, უბრალო ფაღარათი, ხოლერინა. მხოლოდ, საუბედუროდ, მძიმე შემთხვევათა რიცხვი მეტია. ამას გარდა, რაც უნდა სუბუქად მოეკიდოს ხოლერა ავადმყოფს, ყოველთვის უნდა მოელოდე, რომ სუბუქი შემთხვევა უეცრად მძიმე შემთხვევად გადაიქცევა. მკითხველს ეხსომება, რომ ისეთი შემთხვევებიც არი, როდესაც კაცი უცბად, რამდენსამე საათში ესალმება წუთი-სოფელს. მძიმე და სუბუქ შემთხვევებს შუა არის გარდამავალი შემთხვევები, ე. ი., ზოგი უფრო ადვილი, სუბუქია, ზოგი ცოტათი უფრო სასტიკია, ზოგი ზომიერად სასტიკია, ზოგი კი მახლობელია მძიმე შემთხვევისა.

მძიმედ მოეკიდება თუ სუბუქად ხოლერა კაცს, მოკვდება თუ მორჩება ავადმყოფი, ეს დამოკიდებულია: 1) თვით ავადმყოფზე, მის ძალ-ღონეზე, 2) რა მდგომარეობაში იყო კაცი, როცა ხოლერა შეხვდა; თუ, მაგალითად, დასუსტებული იყო, დაქანცული შრომით, ჯავრით, ლოთობით, გარყვნილებით, მაშინ უფრო მძიმედ მოეკიდება სენი; 3) ექიმობაზე, მოვლაზე. თუ ავადმყოფს რიგიანი მოვლა და ექიმობა აქვს, უფრო ადვილად მოიხდის ხოლერას.

საზოგადოდ, ძალ-გამოლეული, ღონე მიხდილი, სნეული ადამიანები, მოხუცებულები და პატარა ბავშვები ემსხვერპლებიან ხოლმე უფრო ხშირად ხოლერას. ყველაზე უფრო კარგად იტანენ ხოლერას 10—20 წლისანი.

ვისაც შარდი არ უქრება, მისი მორჩენა უფრო მოსალოდნელია.

ტიფოიდის დროს, რაც უფრო ადრე გამობრუნდება თირკმლები და უფრო სადი შეიქმნება, მაშასადამე, შარდი, მით უფრო კეთილი იქნება ბოლო.

თუ ორსულს ქალს შეხვდა მძიმე ხოლერა, ნაყოფი ჩვეულებრივ კვდება. თუ დედა მაშინვე არ მოკვდა, მუცელი ეშლება და ებადება მკვდარი ნაყოფი.

ექიმი გასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

---

## ჩინური სიბრძნე

დაიმორჩილე შენი თავი იმდენად, რომ პატივსა სცემდე სხვებს, როგორც საკუთარ თავს და მოიპყარი ისე, როგორც გინდა შენ მოგეპყრან. აი ნამდვილი კაცთ მოყვარეობა.

**** დღე ისე მოიქეცი, რომ ღამე მოსვენებული ძილი გქონდეს, ახალგაზდობაშიაც ისე,—რომ მშვიდობიანი მოხუცებულობა გქონდეს.

**** გონიერს ადამიანს სიკვდილი არა სწადიან, მაგრამ არც ეშინიან მისი.

---

# რ უ ს ე თ ი

სარატოვის ქალაქის მოურავს გარდა, სხვა ქალაქის მოურავებსაც გაუგზავნიათ თხოვნა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, სასურველია დაინიშნოს კრება ქალაქის მოურავებისათ.

— საერო განათლების სამინისტრო ჰზრუნავს, რომ სხვა რამ უფრო გონივრული წესი შემოიღოთ უმაღლესს სასწავლებლებში ყმაწვილ კაცების მისაღებად, ვიდრე სკონკურსო ეგზამენებია.

— იგივე სამინისტრო ჰფიქრობს, უმაღლეს სწავლა-მიღებულს ქალებს ნება მიეცეთ საშუალო სასწავლებლების უფროს კლასებში, ახალ ენებს გარდა, სხვა საგნების სწავლების ნებაცა ჰქონდეთ.

— იუსტიციის სამინისტროში უკვე გამოირკვა, რომ 1 იანვრიდან გაუქმდება დროებითი კანცელარია, რომელიც აწარმოებდა საპოლიტიკო დანაშაულობის საქმეებს. მის მაგიერ დაწესდება ცალკე საკრებულონი სამოსამართლო პალატებისა წოდებათა წარმომადგენლებითურთ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს ახლო მომავალში დიდი საქმე —პატივება გლეხთათვის ნადელების გამოსყიდვისათვის სესხად აღებულის ფულისა. ამ ჟამად ამ საგნის განხილვაშია ფინანსთა სამინისტრო. გაზ. «რუსი» ამბობს, რომ ეს სამინისტრო დაბრკოლებას არასა ჰხედავს ამ საგნის სასურველად გადასაწყვეტადაო.

— «კერძო საეკონომიო საზოგადოება» კვლავ დაიწყებს თავის მოქმედებას წინანდელს წესზედა. ერთხანად ამ საზოგადოებამ დიდი მხნეობა გამოიჩინა, მაგრამ მერე იძულებული იყო ფრთები შეეკვეცნა. ახლა მიჰმართეს შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვეს, რომ საზოგადოებას ნება მიეცეს წინანდელის საფუძვლით იმოქმედოსო. შინაგან საქმეთა მინისტრის თ-ს სვიატოპოლკ-მირსკის თანაგრძნობით მიუღია ეს თხოვნა.

—შარშან მომხდარ კიშინეველ ებრაელების დარბევის შემდეგ «ბეს. ჟიზნ»-ის სიტყვით ებრაელების ემიგრაციას ძალიან იმატა. ემიგრაციას ხელი შეუწყო ომის დაწყების შემდეგ მომხდარმა ებრაელების დარბევამ, რომელიც უკანასკნელ ხანებში რუსეთის მრავალ ქალაქში მოხდა. კიშინევიდან ამ წლის 1 იანვარიდან გადასახლებულა 6040 ებრაელი. (პ. ვ).

---

# უ ც ხ ო ე თ ი

**იტალია და ავსტრია.** ინსბრუკში მომხდარ ამბების გამო პროტესტის გამოსაცხადებლად 5 ნოემბერს რომში «კვირინო»-ს თეატრში მოხდა მიტინგი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. 5 ს. და 30 წუთზედ თეატრი ხალხით უკვე სავსე იყო და კარებიც დაკეტილი. სცენაზე იტალიისა და გარიბალდის დროის ძველი დროშები იყო ამართული. მერე, როცა ტრიესტისა დ ტრიენტის დროშებიც აღმართეს, ხალხი ზეზე წამოდგა დ დაიწყო გარიბალდისა და სხვა პატრიოტული სიმღერა. პირველად პროფესორმა სიგელემ ილაპარაკა და სხვათა შორის სთქვა: ძნელი სათქმელია, ინსბრუკის ამბების დროს გერმანელებმა რა უფრო გამოიჩინეს—ველური ბარბაროსობა თუ სულელური სიველურე. იტალიელების საქმეს თანაუგრძნობენ არა თუ მარტო იტალიაში, არამედ საზღვარ-გარედაც. აქ პროფესორი მიბრუნდა იმ ლოჟისაკენ, რომელშიაც ამ დროს ნორვეგიის გამოჩენილი მწერალი ბიერნსტორნ-ბიერნსონი შემოვიდა. მწერალს საზოგადოება დიდის ალტაცებით მიეგება.

სიგელეს შემდეგ ილაპარაკა ტრიესტის დეპუტატმა, შესანიშნავმა ორატორმა ბორცილაიმ, რომელმაც ნათლად დახატა იტალიელების მდგომარეობა ავსტრიაში და ინსბრუკში მომხდარ ამბებს ბართლომეს ღამე უწოდა.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, გამოცხადებული იყო პროტესტი წინააღმდეგ «გერმანელების სიველურისა» და ავსტრიის მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც გერმანელებს აქეზებს.

მიტინგის დროს თეატრს გარშემო ჯარი ერტყა, რადგან ხალხმა რამდენჯერმე ავსტრიის საელჩოს სადგომისაკენ გაიწია, მაგრამ ჯარმა არ გაუშვა.

---

# დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

13 ნოემბერი.

**ტოკიო,** 12 ნოემბერი (რეიტერი). ყველა დარწმუნებულია, რომ ამ მოკლე ხანში იაპონელები ერთობ გააძლიერებენ პორტ-არტურის წინააღმდეგ მოქმედებას. იაპონელებს მარჯვედ გაჰყავთ თხრილები მიწის ქვეშ უმთავრეს პოზიციებისაკენ და ნაყოფიერად მოქმედებენ.

**ლონდონი,** 12 ნოემბერი (რეიტერი). კუროკის ლაშქარში მყოფი «სტანდარდ»-ის კორესპონდენტი იუწყება 11 ნოემბრის თარიღით: «არაფრით არა სჩანს, რომ რუსები სამხრეთისაკენ გალაშქრებას აპირებდნენ. შახეზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. წუხელის რუსები იაპონელთა მარცხენა ფრთაზე გამოჩდნენ, მაგრამ იაპონელებმა ადვილად უკუ აქციეს. რუსთა ბატრეების სროლა, რომელიც ყოველ დღე იყო, ეხლა შესუსტდა. ოიამა და იაპონიის გენერლები დარწმუნებულნი არიან, რომ თავიანთ პოზიციებს შეინარჩუნებენ, რამდენიც უნდა გაუგზავნონ მაშველი ჯარი რუსებს. ყოველდღიურ შეტაკების დროს მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვები მცირეა.

**ბერლინი,** 12 ნოემბერი. «ლოკალ ანცეიგერ»-ის სიტყვით, რუსის მთავარ ბანაკს ცნობა მოუვიდა ჩინელებისაგან, კუროკის გვამი ინკოუს მიიტანესო.

**პეტერბურგი,** 13 ნოემბერი. უმაღლესმა საზღვაო სასამართლომ განიხილა საქმე ინგლისის დაჭერილ გემის «შელტენჰემ»-ის შესახებ და რუსების საქციელი წესიერად იცნო.

**კოვნო,** 13 ნოემბერი. შავლისა და როსიენის მაზრების თავად აზნაურობამ შუამდგომლობით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს 1864 წ. გამოცემულ კანონის საფუძვლით ერობის შემოღების შესახებ და აცხადებს, დარწმუნებულნი ვართ, რომ მხოლოდ ერობის საშუალებით მოწესრიგება ადგილობრივი საქმეებიო.

**განჯა,** 10 ნოემბერი. ჯებრაილისა და ზანგეზურის მაზრებში, არაქსისა გაყოლებაზედ, ავად გახდა ხოლერით 26 კაცი და გარდაიცვალა 20. ღონისძიებანია მიღებული ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ.

**სტამბოლი,** 12 ნოემბერი. სულთანის ბრძანებით, ფინანსთა მინისტრს მიენდო მოლაპარაკება დაიწყოს ას მილიონ ფრანკის სესხის აღების შესახებ. უკვე დაწყო მოლაპარაკება ლონდონის ბანკთან, რადგან ოტომანის ბანკმა წინადადებაზე უარი განაცხადა.

14 ნოემბერი.

**მუკდენი,** 13 ნოემბერი, (საკუთ. კორ.). სინძინტინის უნაყოფო დემონსტრაციის შემდეგ, იაპონელები აღარ სცდილობენ გადავიდნენ ტაიძიხეზე და მარჯვენა ნაპირზე სდგანან, სადაც დიდ სიმაგრეებს აშენებენ. პოზიციებზე სიწყნარეა.

**ნაგასაკი,** 13 ნოემბერი. აქ მოსული უცხოელი 8 ნოემბერს წამოვიდა ვლადივოსტოკიდან და ამბობს, იქ ერთის თვის განმავლობაში 20-მა გემმა შეიარა ნახშირითა და სხვა და სხვა საქონლითაო. «ბოგატირ»-ი გამოვიდა გემთ-საშენებლიდან, მაგრამ სამსახურისთვის არ გამოდგება; გემის წინა ნაწილს პონტონები აქვს შედგმული, «გრომობოი»-ს 25 ადგილას გვერდი აქვს შენგრეული. შეკეთებას რამდენსამე თვეს მოუნდებიან. პეტერბურგიდგან მიღებულმა წყლის ქვეშ მავალმა გემებმა კარგად დაასრულეს ვარჯიშობა.

**მუკდენი,** 13 ნოემბერი (საკ. კორ.). ხმებია, იაპონელთა ზოგიერთი გემი, რომელნიც პორტ-არტურთან იდგნენ, სასებოს წავიდნენ დაზიანებულ ნაწილების შესაკეთებლადო. იაპონიიდან მოსულ ყველა მაშველ ჯარს დალნიდან პორტ-არტურისკენ ჰგზავნიან.

**მუკდენი,** 13 ნოემბერი, (საკუთარ კორესპ.). ლიაოიანში იაპონელებმა არსენალი გამართეს და ბევრის დაზიანებულ და გაფუჭებულ ზარბაზნის შეკეთებას შეუდგნენ. იაპონელები აგროვებენ ძაღლებს სადარაჯო სამსახურისათვის. იაპონელებმა გაჩხრიკეს რამდენიმე ვაჭარი, რუსის მანეთიანები უნახეს, ჯაშუშობა დასწამეს და სიკვდილით დასაჯეს.

**მუკდენი** (საკუთ. კორ.). 11 ნოემბერს იაპონელებმა სცადეს ხუანტაის გორაზე რამდენისამე ზარბაზნის დადგმა, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. პუტილოვის გორაკის ახლოს რუსის თავგამოდებულნი წინ წავიდნენ დ დაიჭირეს ტყე ნანვანზის ახლო.

**ლონდონი,** 13 ნოემბერი, «რეიტ. სააგ.»-ს ცნობებით, იაპონელებს ძლიერ აღელვებს ის გარემოება, რომ რუსებს სულ უფრო და უფრო მეტ ნახშირს უგზავნიან ინგლისიდან და აგრეთვე სხვა და სხვა მიხვეულ გზებით უგზავნიან ინგლისელთა ხელიდან გამოსულ დიდძალ სამხედრო მასალას. იაპონელებს მეტად უკვირთ, რომ ინგლისის მთავრობამ ვერ დააბრკოლა ყველა ამ მასალის გზავნა რუსებისათვის. შემდეგი აზრიც გამოირკვა: თუ ჯერ-ჯერობით მთავრობას კანონიერი საფუძველი არა აქვს თავის ქვეშევრდომთ აუკრძალოს მოკავშირე სახელმწიფოს (იაპონიის) მტრის დახმარება, ამ გვარი საფუძველი უნდა აღმოჩენილ იქმნასო. ბარონმა სუემატცუმ აღნიშნა ის გარემოება, რომ დღევანდელი საქმის ვითარება ერთნაირად მავნებელია, როგორც ინგლისელთა, ისე იაპონელთათვისო, და გამოაცხადა, ორისავე ერის მწინდა მოვალეობაა, ყოველნაირად ეცადნენ გაანმტკიცონ კავშირი, რომელსაც ორთავე ერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვსო.--რადგან ხმა გავრცელდა, თითქოს იაპონიას დიდ-ძალი ქვა-ნახშირი ეყიდოს, იაპონიის საელჩო აცხადებს, ინგლისში სრულიად არ უყიდნია იაპონიას ქვანახშირიო.

**პეტერბურგი.** ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი გრაფი ქუთაისოვი დაინიშნა საპატიო აპეკუნად.

**დაძიაპუ,** 13 ნოემბერი. (საკუთ. კორესპ.). 12 ნოემბერს ღამით ვილმანსტრანდის პოლკის თავგამოდებულნი, პოდპორუჩიკ სპინცის უფროსობით, ჩუმად მიიპარნენ იაპონელების პოზიციის ორ ზურგიან გორაზე, სოფ. ჩანლინძას ახლოს. გორის ფერდობზე სანგარში თავგამოდებულებმა მტრის დარაჯები შენიშნეს, რიცხვით 30 კაცამდე. ყოჩაღმა თავგამოდებულებმა ჯერ სამჯერ თოფები დაახალეს, მერე ხიშტებით ეცნენ დარაჯებს და ოცი მოჰკლეს, ზოგი სანგარში, ზოგი გორის ფერდობზე. მტერმა გორის ფერდობზე რამდენსამე რიგად გამართულ სანგრებიდან თოფი დაუშინა თავგამოდებულთ და უკან დაახევინა; უკანასკნელთ ორი კაცი მოუკლეს და ერთი დაუჭრეს. ერთი მათგანი ნიკაპსა და თვალში დასჭრეს, მაგრამ მაინც არაფრის გულისათვის არ მოინდომა საავადმყოფოში წასვლა, იარა შეახვევინა და ისევ თავის რაზმში დარჩა.

**დაძიაპუ,** 13 ნოემბერი, (საკუთ. კორ.). სამარის პოლკის თავგამოდებულნი, პორუჩიკ ლიკინსკის უფროსობით, ღამით ორ რაზმად წავიდნენ სოფ. ფანშეინისაკენ, სადაც იაპონელები დგანან. თავგამოდებულებმა სოფელს თოფი დაუშინეს; იაპონელებმა უკან დაიხიეს. საპიორთა პირველ ბატალიონის 6 საპიორმა სოფელში მტრის სამი სამზვერაო კოშკი დაანგრია, თუმცა მტერი ყველა მხრიდან თოფს უშენდა. თავგამოდებულებმა მთელს სოფელზე გაიარეს, იაპონელ მსროლელთა ხიდები დაანგრიეს და თან დიდი ზარი წაიღეს; ამ ზარს მტერი განგაშის დასაკვრელათ ხმარობდა. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია.

**პეტერბურგი.** 3-დან 9 ნოემბრამდის კავკასიაში ხოლერა ერთობ გაძლიერდა. ხოლერით ავადმყოფნი არიან განჯის გუბერნიასა და ტფილისში. მიზეზად ხოლერის გაძლიერებისა ის უნდა ჩაითვალოს, რომ სპარსეთიდან მუშები დაბრუნდნენ. ავადმყოფთა რიცხვი ყველაზე მეტი ერევნის გუბერნიაში იყო: ავად გახდა 522 და გარდაიცვალა 342 კაცი. ბაქოს მაზრაში აღმოაჩინეს ხოლერით ავადმყოფნი. განჯის გუბერნიაში 10 კაცი გახდა ავად ხოლერით. ვოლგის განაპირა გუბერნიებში ავადმყოფთა რიცხვი იმას არ აღემატება, რაც გასულ კვირაში იყო. ასტრახანის გუბერნიაში ავად გახდა 11 და გარდაიცვალა 5 კაცი. ასტრახანში ავად გახდა სამი და გარდაიცვალა ერთი. სამარის გუბერნიაში რამდენიმე კაცი გახდა ავად. სარატოვის გუბერნიაში შემდეგს ადგილებში გახდნენ ავად: სარატოვში—1, ცარიცინში—9, კამიშინში—3, ვოლსკის მაზრაში—3 და სარატოვისაში—1. იმიერ კასპიის მხარეში ხოლერა მხოლოდ სერახის საბოქაულოში გაჩნდა.

**სტამბოლი,** 12 ნოემბერი («კორ. ბიურ.»). ამ უკანასკნელ დროს ბევრ ქალაქში მომხდარმა აფიცრებისა და სალდათების დემონსტრაციებმა, რომელთაც ივნისს აქეთ ჯამაგირი არ მიუღიათ, ძალიან შეაშინა ილდიზ-კიოსკი და პორტა. რამდენიმე კრება მოხდა ამის თაობაზე.

**პარიჟი,** 13 ნოემბერი. დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტზედ კამათის დროს მომხსენებელმა დიუბევმა პროტესტი გამოაცხადა იმ სიტყვების წინააღმდეგ, რომელიც დიუბევს მიაწერეს, ვითომც იმას ეთქვას, ფრანგთა და რუსთა კავშირი საშიშოაო. მინისტრმა დელკასემ გააწყვეტინა სიტყვა და სთქვა, რომ რუს-ფრანგთა კავშირი არასოდეს არ ყოფილა იმდენად სასარგებლო, როგორც ამ ჟამად არისო, არასოდეს არ ჰქონია საფრანგეთს უკე-

---

ღვინის სუნი ამოსდის, სახეზე სიანჩხლე ეტყობა.

— ღინღლაძე,— ცოტა მრისხანეს ხმით დაიძახა ვასილ ვასილიჩმა,—წაიღეთ ეს ქაღალდი და გადასწერეთ სწორედ ისე, როგორც ჩემი ნაწერია, გესმისთ! შიგ არაფერი გაასწოროთ!.. მე მინდა ყოველს აქაურ საქმეს ჩემი ხელი ემჩნეოდეს! წადით!

ღინღლაძემ გამოართვა ქაღალდი და წაიკითხა: „отъ квитанціи № 396 поступило 235 рублей“...

— აი, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი, თუ ეს რუსული იყოს!!.. კიდევ მეუბნება: «ჩემს ნაწერში არაფერი გაასწოროვო».

ღინღლაძემ გადასწერა ქაღალდი და მიართვა ვასილ ვასილიჩს, რომელსაც უფროსისათვის უნდა მიერთმია ხელის მოსაწერად.

ვასილ ვასილიჩმა გაისწორა დაჭმუჭნული სერთუკი, გადაისვა ულვაშებზედ ხელი და გასწია უფროსთან.

— წაიღეთ უკან, ეს რუსულად არ არის ნაწერი. საკვირველია, ამდენ ხანს კაცი მსახურებდე და უბრალო ქაღალდს ვერ სწერდე!

ვასილ ვასილიჩს ენა მუცელში ჩაუვარდა. «ოო, ეგ სულ დაწყევლილ ღინღლაძის ბრალი უნდა იყვეს, თუმცა შესაძლოა ჩემი ნაწერი იყვეს, მაგრამ... საქმისთვის არ ივარგებს გაჩუმდე, —გაიფიქრა უცბად ვასილ ვასილიჩმა და მიმართა უფროსს:

— თქვენო აღმატებულებავ, ეს ქაღალდი სრულიადაც არ არის ჩემი ნაწერი, განა შესაძლოა, ასეთი რამ დავსწერო? ღვთის მადლით, აგერ ოცდა ათი წელი ვმსახურებ და არ მახსოვს—უბრალოდ საყვედური მიმეღოს უფროსისაგან, მაგრამ ეხლა, რაც ღინღლაძე აქ მსახურებს, სწორედ საქმე გამიჭირდა; ჩემს ნაწერს ისე არ გაუშვებს, რომ თავისი არ ჩააკეროს რამ შიგ! აი ნახეთ მისი ნაწერი!... კიდევ კარგია რამე ესმოდეს, მაგრამ, როცა არ იცის, ჩვენ გაგვიგონოს! ყოველთვის ვარიგებ, ჩემს ნაწერში ნურაფერს ჩაუმატებ-მეთქი, მაგრამ არ იქნა, თავისას არ იშლის!.. ეს ქაღალდი არ წამიკითხავს, რადგან ნათქვამი მქონდა და დარწმუნებულიც ვიყავ, ჩემს ნაწერს უმეტ-ნაკლებოდ გადასწერდა, თორემ რა ანგარიშია, ასეთ ნაწერს მოგართმევდით?!.. სწორედ განსაცდელში ვარ, თქვენო აღმატებულებავ, ან დამითხოვეთ ან რამე მიშველეთ.

უფროსი კარგად იცნობდა ვასილ ვასილიჩს და ამასთანავე ღინღლაძესაც და ამიტომ დაბალის ხმით უბძანა ვასილ ვასილიჩს:

— აბა, მაჩვენეთ მაგ ქაღალდის შავი!

— ვაიმე, ეხლა რაღა ვქნა,—გაიფიქრა ვასილ ვასილიჩმა და ზანტად გაბრუნდა უკან.

გან-ხან.

იესი შემთხვევა დაეტკიცებინა თავისი ერთგულება იმ ხელ-შეკრულისა, რომელიც იცავს ორისავე ერის ინტერესებსაო.

**პეშავერი**. (რეიტერი). გუშინ წავიდა ქაბულის მისსია.

**სუეცი**. (რეიტერი). ბალტიის ესკადრა წავიდა, თან ახლავან ეგვიპტის გემები.

**ტოკიო**, 14 ნოემბერი. (რეიტერი). ამ წამში საერთო იერიშია პორტ-არტურზე. გენერლებმა ნაკიმურამ და საიტომ, რომელნიც უფროსობენ საგანგებოდ მომზადებულ და გაწვრთნილ თავზედ ხელ-აღებულთა რაზმსა, იერიში მიიტანეს ფორტებზე და გაათფრებული ხელჩართული ბრძოლა დაიწყეს. იერიშის შედეგი ჯერ არ იციან.

**ტოკიო**, 14 ნოემბერი (რეიტერი). იაპონიის უმთავრესმა ბანაკმა ეს არის ეხლა გამოაცხადა შემდეგი: «რადგანაც სუნშუნშანისა და ფორტების იერიშისათვის ყოველივე მუშაობა წინადვე განმზადებული იყო, ამიტომ 13 ნოემბერს იყო დანიშნული საერთო იერიში, მაგრამ რუსების მედგარ წინააღმდეგობისა გამო ჯერ გულის საწადელს ვერ მივაღწიეთ. ბრძოლა ისევაა».

**ტროიცკო-სავსკი**. (საკ. კორესპ.). ურგიდგან დეპეშით იტყობინებიან: დღეს მოვიდა დალაი-ლამა და განდანთან შეხვდა მონგოლთა სამღვდელოება და ხალხი. ის შევიდა განდანს და მისთვის გამზადებულს სახლში დადგა.

**მოსკოვი**. საკომერციო სასწავლებელმა გადაიხადა ასის წლის დღესასწაული, დაესწრნენ უფროსები და ქალაქისა და წოდებათა წარმომადგენელნი. სასწავლებლის ყოფილ მოწაფეებმა ვაჭართა საზოგადოების მამასახლისს ადრესი მიართვეს. ბალში შეკრეფილი ფული წითელ ჯვარს შესწირეს.—საბჭოში კრება იყო მშრომელ ქალთა შესაწევნელ ახალ საზოგადოების დასაფუძნებლად. შრომის მოყვარე საზოგადოებამ გამართა საავადმყოფო სტრევალოვის ქალის სახელით ავადმყოფ და დაჭრილ მხედართათვის.

**გუი**. გაიმართა მაკაროვისაგან ნაანდერძევ თანხით დაბალი სახელოსნო სკოლა იმპერატორ ნიკოლოზ მე-II სახელობაზე.

### საღამოს დეპეშები.

15 ნოემბერი.

**პეტერბურგი**. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა 13 ნოემბრის თარიღით: 11 ნოემბერს იაპონელებმა შეუტიეს იმ რაზმს, რომელიც ცინხოჩენთან იდგა. საღამოზედ მტერი უკუ-ქცეულ იქმნა. უკანასკნელი მედგარი იერიში უკუ-აქცია სამმა როტამ, რომელიც უფროსობდა პოდპოლკ. ბერესნევი. საქმე ხიშტებამდე მივიდა. ჩვენები ახლო მივიდნენ და ისე დაუშინეს თოფები. ზარალიც დიდი მიაყენეს. იმ ღამეს იაპონელებმა კვლავ სცადეს მოსვლა იერიშით, მაგრამ ჩვენების თოფის სროლამ შეაყენა. 12 ნოემბერს მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა ცზანჩანიდან. ესე დილის 11 საათზედ დაიწყო ბრძოლა. 12 საათზედ იაპონელებმა იერიში მოიტანეს მაგრამ უკუ ვაქციეთ. იაპონელთა არტილერია ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა. ნაშუადღევს, ესე 4 საათზედ ჩამობნელდა და ასტყდა ნამქერი, ამის გამო არტილერიამ ვეღარ იმოქმედა, როგორც სასურველი იყო, რაკი ცამ მოიშავბუდა, იაპონელებმა კვლავ შემოგვიტიეს, იქნებ სიბნელეში კარგად ვეღარ გაგვარჩიონო, მაგრამ ჩვენებმა მაინც შეირჩინეს პოზიციები. საღამოს 7 საათზე ბრძოლა შესწყდა. ჩვენი ზარალი, რაკი ადგილ მდებარეობას კარგა შევეფერენით, მცირე იყო. 12 ნოემბერს ღამე ბრძოლა აღარა მომხდა-რა. ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას».

უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ. ად.-კუროპატკინისა 13 ნოემბრის თარიღით: «ჩვენი ზარალი 14 ნოემბერს იყო 9 მოკლული და 57 დაჭრილი ჯარის-კაცი. ღამემ მშვიდობით გაიარა. 13 ნოემბერს დილით ჩვენმა სამთა არტილერიამ მტრის რაზმნი მიმოჰფანტა. ასე 9 საათზე მტერმა კიდევ მოიტანა იერიში და უნდოდა გარს მოევლო ჩვენის პოზიციის მარცხენა ფრთისთვის, თან ზანტად მოიწევდა წინ შუა-გულისაკენ. სხვა მოხსენება აღარა მოსულა-რა. 11 ნოემბერს ღამე პორუჩიკმა ადოლფიმ ორის თავ გამოდებულის კაცით წაართვა მტერს ჩვენის მოკლულის ჯარის კაცის გვამი და ჩვენს ბანაკში მოიტანა. 12 ნოემბერს ღამე 12 თავ-გამოდებული კაცი პოდპოლკ. სპრინცეს უფროსობით გაემართა მტრის ბანაკისაკენ, მოუარა უკან იაპონელთა რაზმს, ესე 30 კაცამდე. ესროლეს თოფები და მერე ხიშტებით გადაერივნენ. 20 იაპონელი განგმირეს ხიშტებით და იქვე დახოცეს: დანარჩენები გაიქცნენ. რაკი თხრილებიდან მტერმა თოფები დაუშინა, ჩვენი თავ-გამოდებულნი კაცნი უკან დაბრუნდნენ. თან წამოიღეს გვამი ორი მოკლულის ჩვენის ჯარის კაცისა და წამოიყვანეს ერთი დაჭრილი. ყოველსავე ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას».

**პეტერბურგი**. მავნებელ მიმართულებისათვის გაზ. „პრავო“-ს შინაგან საქმეთა მინისტრმა პირველი გაფრთხილება გამოუცხადა.

**მუკდენი**, 15 ნოემ. იაპონელთა სათადარიგო ჯარის მეშვიდე პოლკი ესვრის თოფს რენენკამფის ჯარს. იაპონელთა ზარალი ძალიან დიდია.

**მუკდენი**. 15 ნოემბერს. იმპერატრიცას ბრძანების ასასრულებლად ხუნხეს ვიცე-კოროლმა დააჩქარა ევროპიულ ფორფის შეძენა თავის ჯარებისათვის და დააჭრევინა ჯარის-კაცებს ნაწნავები, ამ გარემოებამ უკმაყოფილება დაჰბადა.—შანჰაიდან იწერებიან, რომ იაპონელებმა დაჰკარგეს ყოველივე კრედიტი და ახალის სესხის აღება ვეღარ უხერხდებათ.

**დაიძიაპუ**, 14 ნოემბერი. ღამით ნანჩანზის მახლობლად შეჰნიშნეს იაპონელნი, რომელნიც ჩვენის პოზიციებისაკენ თხრილ-ხვრელებს იღებდნენ, ბორტირების ბატარეებიდგან 11-ჯერ ვესროლეთ და ამით ჩავაჩუმეთ ისინი, მუშაობაზედ ხელი ავაღებინეთ, და გავაქციეთ. დღეს საღამოს, ისარგებლეს რა, სიბნელით, ჩვენი მსროლელები მიიპარნენ სოფ. ნანჩანზის სამლოც ველოსთან, რომელშიაც იაპონელები იყვნენ, და საპირთა 1-ლ ბატალიანის დახმარებით ააფეთქეს. ამის შემდეგ უკან დაბრუნდნენ თავიანთ პოზიციებზედ. ამ დროს რუსის მსროლელთ დაუჭრეს მხოლოდ ერთი მსროლელი.

**რაევკა**. ხარბინიდან გზად გამოიარა მატარებელმა, რომელშიაც 20 სულით ავადმყოფი და დაჭრილი დაბალი ჯარის კაცია, ყველანი მოსკოვს მიდიან. მატარებელი განსაკუთრებით დაჭრილთა და სულით ავადმყოფთათვისაა მოწყობილი.

**მუკდენი**. (რეიტერი). მდ. შახეზედ რუსების დაზარალების შემდეგ მათი მოულოდნელი მხნეობა ამტკიცებს, რომ იაპონელებს ხელი ვერ შეუშლიათ რუსთა დიდძალის ჯარის თავის მოყრისათვის. გაზაფხულამდე იაპონელთა სტრატეგია უნაყოფო იქნება, იმდენად გაუჭირეს საქმე რუსებმა. გაზაფხულზედ საშინელს ბრძოლას მოელიან.

**შანჰაი**. (რეიტერი). ამას წინად იაპონიის აქაურ კონსულის საშუალებით იქმნა აღძრული, რომ ნება დაერთოთ პორტ არტურს გაეგზავნათ გემი ნაღმებითა და საქირურგო ხელსაწყობით. გუშინ კონსულმა აცნობა, რომ იაპონიის სამხედრო მთავრობას არ შეუძლიან ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება და, თუ მაინცა და მაინც საჭირო დარჩება, თვითონ, იაპონელები გაჰგზავნიან წამლებს პორტ-არტურშიო.

**ჩიფუ**. (რეიტერი). შეიპყრეს გემი, რომელსაც სურსათ-სანოვაგე მიჰქონდა პორტ-არტურში.

**ტოკიო**. (რეიტერი). გუშინ კრება ჰქონდათ კონსტიტუციონალისტებსა და პროგრესისტებს, რომელნიც დეპუტატთა პალატაში უმრავლესობას შეადგენენ. ორთავე დასმა თანაგრძნობა გამოუცხადეს ერთმანერთს და შეიწყნარეს ერთნაირი რეზოლიუცია, რომელშიაც, ნათქვამია: რათაც უნდა დაგვიჯდეს, ომი ბოლომდე უნდა მივიყვანოთო და ეს დადგენილება შეურყეველიაო. მთავრობის საფინანსო პროექტის შეწყნარება თითქმის უზრუნველყოფილია,

**ვაშინგტონი**. (რეიტერი). დიპლომატებში ყველამ უწყის, რომ რუსეთისა და იაპონიის მთავრობანი ერთმანერთს ეჯიბრებიან ამერიკის ვერფებში (გემთ საშენებელია) წყალ ქვეშ მავალ ნავებისა და ნაღმოსნების შეძენას. ჰფიქრობენ, რომ ორივე დიდნი სახელმწიფონი ამის თაობაზედ სდუმან თანხმობის ნიშნადაო.

**ვაშინგტონი**. (რეიტერი). ამტკიცებენ რომ შეერთებული შტატები მეგობრულ მონაწილეობას მიიღებს გოლლის ინციდენტის დაშოშმინებაში და ერთ-ერთს თავის მაღალსაზღვაო აფიცერთაგანს დაჰნიშნავს საგანგებოდ ქომისიის წევრადაო. საზოგადო აზრია, რომ ადმირალის დევეს დანიშვნა სჯობიაო. რაწამსაც ინგლისისა და რუსეთის მთავრობათაგან ფორმალურს მოწვევის ბარათს მიიღებს, მაშინვე გადასწყვეტენ ამ საქმეს.

**ყაზანი**. მემკვიდრე ცასარევიჩის დაბადების აღსანიშნავად წელს უნივერსიტეტი ანთავისუფლებს სწავლის ფულის გარდახდისაგან 20 სტუდენტს.

**პეტერბურგი**. კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა ხელმწიფესთან, 14 ნოემბრის თარიღით: «ღამის განმავლობაში მიღებულ მოხსენებათა თანახმად, ცინხეჩენთან იაპონელთა გუშინდელი შემოტევა ჩვენზედ მტკიცე ხასიათისა არ იყო და ჩვენმა სროლამ შეაჩერა. თუმცა ეს მესამე დღეა განუწყვეტლივი ბრძოლაა, მაგრამ ჯარი მაინც მხნედ არის. სხვა მოხსენებანი ბრძოლის თაობაზედ 13 ნოემბერს არ მიგვიღია,—რასაც უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას».

დროებით რედაქტორი **ბრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.


## განცხადებანი



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონტინი“ მ. კ. ლებედევის“
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0 6—16)

იბეჭდება და ნოემბერში გამოვა
ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
# „ნაკადული“
მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.
გამომცემელი ჟურნალისა
კნ. ნინო ედიშ. ქობულოვისა.
რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. / ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.
ადრესი: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ»

გამოვიდა და ისყიდება ყველგან
## ნაწერები ს. მესხისა
ტ. 1. II+533 გვ.
ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.
# კალენდარი (სათვეო)
„ცოდნა“
მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.
✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦
ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა
ექვს-ექვს კაპეიკად.
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.
ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“.
(10—8).

# სამკერვალო
## ქალთა ტანისამოსისა.
ვღებულობ ქალთა ტანისამოსს
## შ ე ს ა კ ე რ ა დ
ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად
ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.
ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.
ანა მერკვილაძისა.

| За годъ съ пересылкой 6 р. | ОТКРЫТА на 1905 г. ПОДПИСКА на еженедѣльн. иллюстриров. журналъ и газету „РОДИНА“ (27-й годъ издан.) | РАЗСРОЧКА допускается при подпискѣ 2 р. |
|---|---|---|

Каждый подписчикъ получитъ въ теченіе года:
52 №№ иллюстрир. литер. ЖУРНАЛА 52 №№ полит. и обществ. ГАЗЕТЫ 52 № иллюстр. „Всемірное Обозрѣніе“ 52 № иллюстрир. „РАЗВЛЕЧЕН. въ часы отд.“
48 КНИГЪ 1) 12 книгъ РОМАНОВЪ РУССКИХЪ ПИСАТЕЛЕЙ 2) 12 книгъ СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ Осипа ШУБИНА 3) 12 книгъ содерж. статьи по научн. вопрос. и свѣд. для практ. жизни библіот. „ЗНАНІЕ и ПОЛЬЗА“ 4) 12 книгъ, назыв. „ОБЩЕПОЛЕЗНАЯ БИБЛІОТЕКА“: 12 руководствъ для самообразованія
Безплатныя приложенія: 12 № „Другъ дѣтей“, 12 № МОДНАГО журнала, 12 № лист. выкроекъ, 12 № лист. рисунковъ для любительск. раб., 12 № лист. узоровъ въ краск., ТАБЕЛЬ КАЛЕНДАРЬ и КАЛЕНДАРЬ-справочникъ на 1905 г.
большая ОЛЕОГРАФІЯ съ картины „ЗА ЧЕСТЬ и СЛАВУ РОССІИ“ | большая ГРАВЮРА въ тонахъ „НА ВОЙНУ въ 1877 г“.
Подробная программа безплатно. — „РОДИНА“, С.-Петербургъ, Лиговская, д. 114.
4—6—2

# ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხებაა კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰღირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.
(5—6—)


Дозволено цензурою Тифлисъ, 16 ноября, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.